საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030187840403720

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/4260 **14 / აპრილი / 2020 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ლაბორატორიული ქსელის გაძლიერებისათვის, კერძოდ: კახეთის რეგიონალური ლაბორატორიის ტერიტორიაზე ლაბორატორიის ახალი შენობის პროექტირების, ცენტრის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში) ახალი ინსინერატორების მოწყობისათვის, ექსპლუატაციის საქმიანობაზე გარემოს დაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის მომზადებისათვის და რ. ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში არსებული სამედიცინო აღჭურვილობის ექსპლუატაციის საჭირო ლიცენზირებისათვის ესაჭიროება „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ (პროგრამული კოდი: 27 01 03) პროგრამის ფარგლებში მეორე კვარტალში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, მეორე კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

ასევე, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მართვის ხელშეწყობისთვის ცენტრის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი: 27 03 03 11 03) პროგრამის ფარგლებში ცენტრის ლაბორატორული ნაწილის საჭიროებიდან გამომდინარე ღია სისტემის თერმოციკლური აპარატის შესყიდვის მიზნით საჭიროა პირველი კვარტალის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის ასიგნების გაზრდა ამავე პროგრამის, პირველი კვარტლის „საქონელი და მომსახურება“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, განახორციელოთ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

დანართი „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური